ზღაპარი

საბავშვო მოთხრობები ისლამი-4

# ჩვენები

## სალიჰის პატარა თევზები



inkılâb çocuk

muslim GEORGIA international charity foundation

# ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ
# ᲡᲐᲚᲘᲰᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ

ᲡᲐᲚᲘᲰᲘ ᲑᲐᲦᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲚᲔᲙᲕᲘᲡ ᲑᲝᲜᲯᲣᲥᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲘ ᲛᲘᲔᲢᲐᲜᲐ. ᲡᲐᲚᲘᲰᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐᲖᲔ ᲑᲝᲜᲯᲣᲥᲛᲐ ᲙᲣᲓᲘᲡ ᲥᲘᲪᲘᲜᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲛᲔᲠᲔ ᲛᲘᲕᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲰᲡ ᲓᲐ ᲤᲔᲮᲔᲑᲨᲘ ᲔᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲑᲝᲜᲯᲣᲥᲘ ᲢᲔᲗᲠᲘ ᲫᲐᲦᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲚᲐᲒ-ᲐᲚᲐᲒ ᲧᲐᲕᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲚᲐᲥᲔᲑᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ.

ᲑᲝᲜᲯᲣᲥᲘ ᲡᲐᲚᲘᲰᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲔᲑᲝᲑᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲛᲐᲛ ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲑᲝᲜᲯᲣᲥᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲘᲧᲝ. ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲙᲘ ᲡᲐᲚᲘᲰᲛᲐ ᲨᲔᲣᲠᲩᲘᲐ.





სალიჰმა ბონჯუქს საჭმელი მისცა და წყალიც დაუსხა. ძაღლი ძალიან მადიანად შეუდგა ჭამას და სალიჰიც მას უყურებდა. მალე ბონჯუქი ჭამას მორჩა და თამაში მოუნდა. სალიჰმა ბონჯუქს პატარა თასმა გამოაბა და მახლობელ პარკში წაიყვანა. დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში პარკში დარბოდნენ. პატარა ბურთი ჰქონდათ და თამაშობდნენ. უცებ სალიჰს გაახსენდა, რომ მამასთან ერთად სადღაც უნდა წასულიყო. მაშინვე სახლში დაბრუნდნენ. ბონჯუქი სალიჰს ნაღვლიანი თვალებით უყურებდა. არ უნდოდა მასთან განშორება. სალიჰი აუცილებლად უნდა წასულიყო, ამიტომ ბონჯუქი ეზოში მიატოვა და კიბეები ჩქარა აირბინა.

- სად იყავი შვილო, გელოდები, ძალიან მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს. უსაყვედურა მამამ.

- ბოდიში მამიკო. ბონჯუქს ვეთამაშებოდი და დრო როდის გავიდა ვერ გავიგე. ახლავე მოვემზადები.

სალიჰმა მაშინვე გამოიცვალა ტანსაცმელი და მამას ეზოში ჩასვლაც მოასწრო. შემდეგ მანქანაში ჩაჯდა და უსაფრთხოების ქამარიც გაიკეთა.

- მე მზად ვარ მამა. შეგვიძლია წავიდეთ. სად მივდივართ?

- ჩემი მეგობრის, მესუდის სამსახურში მივდივართ. საქმე მაქვს იქ.



muslim georgia

სალიჰს მამის მეგობარი ძალიან უყვარდა. მესუდ ბიძიას სამსახურში უზარმაზარი აკვარიუმი ჰქონდა. აკვარიუმში კი უამრავი პატარა თევზი დასრიალებდა. სალიჰს სწორედ ამ თევზების დანახვა ახარებდა.

- იქ დიდხანს დავრჩებით მამა?

- არამგონია დიდხანს დავრჩეთ. მე და მესუდი ვისაუბრებთ, შენ კი ამ დროს აკვარიუმის თევზებს გამოკვებავ.

- ეს აზრი მომწონს მამა.

ზაფხული ცხელი დღე იყო. ქუჩაში უამრავი ადამიანი ირეოდა. სალიჰი საცობებზეც ნერვიულობდა და უნდოდა სწრაფად წასულიყვნენ.

როგორც იქნა მესუდის ოფისში მიაღწიეს. რვასართულიანი შენობის მერვე სართულზე ავიდნენ. მესუდის სამსახურში ბევრი ადამიანი არ იყო. ოფისი კი საკმაოდ ფართო და ნათელი იყო.



მესუდი მათ სახელიმილიანი შეხვდა.

მობრძანდითო, მიიპატიჟა და შიგნითა ოთახში შეიყვანა. სალიჰი მაშინვე აკვარიუმთან გაიქცა. აკვარიუმში თითქმის ყველანაირი ფერის თევზი იყო. თეთრი, ლურჯი, ყვითელი. . . მოზრდილი და პატარა თევზები ხან ერთ მხარეს გაცურდებოდნენ, ხან კიდევ მეორე მხარეს. ზოგიერთს ძალიან დიდი ფარფლები ჰქონდა. მესუდიც აკვარიუმთან მივიდა.

- აბა სალიჰ, დღევანდელი საკვაბი შენ უნდა მისცე. ყურადღება მიაქციე, ბევრი არ მოგბივდეს. უთხრა სალიჰს და საკვებიანი ყუთი გადასცა.

- კარგი მესუდ ბიძია. ბევრს არ ვაჭმევ. უპასუხა გახარებულმა სალიჰმა.



სალიჰმა საკვების ნამცეცები წყლის ზედაპირზე მოაბნია. თევზები მაშინვე საკვების ირგვლივ შეიკრიბნენ და ჭამა დაიწყეს.

ამ დროს სალიჰის მამა მეგობართან საუბრობდა. საუბრის თემა ზექათი იყო. მამამ ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და მეგობარს გაუწოდა. სალიჰს დააინტერესა. თუმცა ამ მომენტში თევზები უფრო იზიდავდა.

სალიჰი თევზებთან გართობას რომ მორჩა მამასთან მივიდა. მესუდ ბიძიას ხილის წვენი მოეტანა და სალიჰმაც დალია.



- წავიდეთ სალიჰ. თქვა მამამ.

სალიჰს უნდოდა კიდევ ერთხელ შეეხედა თევზებისთვის. სანამ ის თევზებს ათვალიერებდა მესუდ ბიძია ხელში ქილით მიუახლოვდა.

- ამ პატარა თევზებიდან ერთი რომ გაჩუქო არ გინდა?

- დიახ. ძალიან მინდა.

სალიჰმა მამას შეხედა. მამამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მესუდმა ფრთხილად ამოიღო ერთი პატარა თევზი და ქილაში მოათავსა. შემდეგ შიგ აკვარიუმის წყალი ჩაასხა და სალიჰს გაუწოდა.



სალიჰს ზუსტად ეს თევზი მოსწონდა.

უკან რომ ბრუნდებოდნენ სალიჰს მთელი გზის განმავლობაში ქილა გულში ჩაკრული ეჭირა. თან თევზს უღიმოდა.

- რა კარგი ვინმეა ეს მესუდ ბიძია. ამბობდა აღტაცებული სალიჰი. ძალიან გამიხარდა თევზი რომ მაჩუქა.

- ძალიან კარგი.

- მამა, მესუდ ბიძია და შენ რის შესახებ საუბრობდით? ძალიან დამაინტერესა. შენც კონვერტი მიეცი. წერილი იყო?



- იმ კონვერტში ჩვენი ზექათი იყო შვილო. მესუდს ერთი ნაცნობი ჰყავს, რომელიც ძალიან ღარიბია და მას უნდა გადასცეს.

სალიჰს სიტყვა ზექათი გაგონილი ჰქონდა, მაგრამ არ იცოდა რას ნიშნავდა.

- მამა, ზექათი რას ნიშნავს?

- ზექათი ისლამის პირობებიდან ერთერთია. ღმერთმა ადამიანებს უთვალავი წყალობა გვარგუნა. თუმცა ეს წყალობა ადამიანებისთვის განსხვავებულია. ზოგი ადამიანის ეკონომიური მდგომარეობა კარგია, ზოგი კი ღარიბია. ამიტომ მდიდარი ადამიანი ვალდებულია ღარიბს დაეხმაროს. ამ დახმარების სახელი კი ზექათია, ანუ მოწყალება. სავალდებულო მოწყალებას ზექათი ეწოდება. ზექათი ღმერთის ბრძანებაა. ხომ იცი, ჩვენი სარწმუნოება ურთიერთდახმარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.



- ზექათი იმ კატეგორიის ღვთისმსახურებაა, რომელიც ქონების გაღებით სრულდება. ზექათის გადახდა ზრდასრულ და გონებასრულ მუსლიმს ევალება, რომელიც მდიდრად ითვლება. სანამ ზექათი სავალდებულო გახდებოდა მდიდრები ღარიბებს სურვილისდამიხედვით მოწყალებას აძლევდნენ. როდესაც წმ. შუამავალმა მედინაში სახელმწიფო შექმნა, ზექათიც მაშინ გახდა სავალდებულო.

ზექათი ყურანში ნამაზთან ერთადაა ნახსენები. გამომდინარე აქედან, ის ძალიან მნიშვნელოვანია. ღმერთი პირდაპირ ბრძანებს ზექათის გაცემას. მოკლედ რომ გითხრა, ზექათი მადლიერების გამოხატულებაა, რადგან ღმერთმა ჩვენ ბარაქა და სიმდიდრე გვიბოძა.



- კარგი მამა, გავიგე, მაგრამ ზექათის მიცემა ყველასთვის შეიძლება?

- არა შვილო. ზექათი რომ მივცეთ ადამიანს შემოსავალი არ უნდა ჰქონდეს და ღარიბი უნდა იყოს. მას ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებაც კი უნდა უჭირდეს. ამასთანავე ასეთი პიროვნება მუსლიმიც უნდა იყოს. ზექათის გაცემა ავადმყოფებზე და მოხუცებზეც შეიძლება. ისეთ მოხუცებზე, რომლებსაც მუშაობა არ შეუძლიათ.

თუმცა, ახლო ნათესავებზე ზექათის მიცემა არ შეიძლება. არც ზარმაც ადამიანებს უნდა მივცეთ, რომლებსაც მუშაობა შეუძლიათ და არ მუშაობენ.



- მუსლიმი ადამიანი, ზექათის გაცემისას ქონების ჭეშმარიტი მფლობელის, ალლაჰის არსებობას იხსენებს. ამით სავალდებულო ღვთისმსახურებასაც ასრულებს და თან ღარიბი მუსლიმის გულსაც ახარებს.

სალიჰი მამას ყურადღებით უსმენდა. თევზიანი ქილა კი ისევ ხელში ეჭირა.



როგორც იქნა სახლში მიაღწიეს. სალიჰს ძალიან უნდოდა თევზი მეგობრებისთვის ეჩვენებინა.

მამა სახლში ავიდა, ხოლო სალიჰმა მეჰმედს დაუძახა. მეჰმედის ლოდინში სალიჰი ბაღის სკამზე ჩამოჯდა. მეჰმედი სირბილით მოვიდა. სიხარულით და სიამაყით აღვსილმა სალიჰმა მეგობარს თავისი თევზი აჩვენა. თან ისიც უთხრა, რომ თევზი მესუდ ბიძიამ აჩუქა. სალიჰმა მეგობარს ისიც მოუყვა, თუ როგორ აჭამა სხვა თევზებსაც. მერე კი დასხდნენ და ქილაში მოსრიალე თევზს უყურეს.



- კიდე რა მოხდა იცი მეჰმედ? მამამ ზექათის შესახებ მიამბო. შენ იცი, რა არის ზექათი?

- ვიცი. ეს არის მდიდარი მუსლიმების მიერ ღარიბ მუსლიმებზე დახმარება.

- ზექათის გაცემისას თურმე ადამიანის ფული კი არ ცოტავდება, პირიქით ის ადამიანი უფრო მდიდრდება. ეს ღვთისმსახურება ადამიანებს შორის კეთილგანწყობასა და გულმოწყალებას ასადგურებს.



- ზექათი ქურდობისა და ყაჩაღობის შემცირებას უწყობს ხელს. ზექათის გამცემი მუსლიმი სიხარბესა და ეგოიზმს სძლევს. ზექათის გაცემით ადამიანი ღმერთს მადლობას სწირავს, რომ სიმდიდრე უწყალობა.

- მართალი ხარ მეგობარო. დაეთანხმა სალიჰი. ხომ ხედავ რა კარგი სარწმუნოება გვაქვს. ღმერთის ყველა ბრძანება ძალიან სასარგებლოა ჩვენთვის.

- ასე. როცა გავიზრდებით ჩვენც გადავიხადოთ ზექათი.

- რა თქმა უნდა გადავიხდით. ძალიან კარგი იქნება.



ბავშვებმა ისევ განაგრძეს თევზის თვალიერება.

- სალიჰ, ეს ქილა ძალიან პატარაა. შეწუხდება თევზი.

- მართალი ხარ მეჰმედ. მოდი, წავიდეთ და აკვარიუმი ვუყიდოთ.

- კარგი. წავიდეთ. თუმცა ჯერ დედას ვეტყვი, რომ გამომიშვას.

